

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2009 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2009 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 2 556 900.1 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 2 219 569.0 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 84 317.3 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებულია 156 742.9 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულების ზრდით – 96 270.9 ათასი ლარი.

2009 წლის იანვარ-ივნისში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (2 219 569.0 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (2 208 018.0 ათასი ლარი) 100.5%-ი;

მათ შორის:

– გადასახადების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 020 238.1 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 023 986.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.2%;

– გრანტების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 82 914.8 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 85 028.9 ათასი ლარი. მათ შორის:

– სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის მხარდაჭერის პროექტი – 3 564.0 ათასი ლარი;

– ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 11 216.8 ათასი ლარი;

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები 67 731.4 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 2 518.8 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში; მათ შორის: “დაცული ტერიტორიების განვითარება” – 18.6 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 279.5 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 377.8 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხუდონის კომპონენტი)” – 502.8 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 372.6 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” – 868.1 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის კომპონენტი” – 99.4 ათასი ლარი.

– ხაზინის ერთიანი ანგარიშზე გრანტების სახაზინო კოდებზე ჩარიცხული “სხვა თანხები” 0.3 ათასი ლარი.

– გასულ წელს შეცდომით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება (უარყოფითი შემოსავალი) – (-2.4) ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 104 865.1 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 110 553.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 105.4%.

2009 წლის იანვარ-ივნისში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (84 317.3 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (48 272.1 ათასი ლარი) 174.7%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (156 742.9 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (156 741.8 ათასი ლარი) 100%.

„ვალდებულებების“ ზრდით მიღებული შემოსულობების (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები) მოცულობამ შეადგინა – 96 270.9 ათასი ლარი, მათ შორის:

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 43 091.3 ათასი ლარი;

– რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (IDA) – 10 568.0 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2008 წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის“ რეტროაქტიულ დაფინანსებას.

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი “სოფლის განვითარების პროექტის” კრედიტი – 970.8 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 133.8 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 182.0 ათასი ლარი; „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 1 157.9 ათასი ლარი; „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი” – 11 764.1 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – 2 485.2 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეორე პროექტის კრედიტი – 15 995.8 ათასი ლარი; “მუნიციპალური განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკის სესხი) – 5 738.7 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” – 3 992.6 ათასი ლარი; ს.ს.ი.პ. „ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი „პირველადი ჯანდაცვის განვითარება” – 190.7 ათასი ლარი, რომელთა ექვივალენტი უცხოური ვალუტა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 81 632.4 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებელი სსიპ-ს მიერ ხარჯების გაწევის

შესაბამისად, მოხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართება ბიუჯეტის შემოსულობებში, მათ შორის:

საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 5 615.4 ათასი ლარი, რომელიც “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 5 თებერვლის №66 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებში აისახება “საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ: “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” გრანტი – 13.0 ათასი ლარი; “სოფლის განვითარების პროექტის” გრანტი – 387.0 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხუდონის კომპონენტი)” – 529.6 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” გრანტი – 635.7 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” გრანტი – 232.7 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – 6 748.0 ათასი ლარი; “მუნიციპალური განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკის სესხი) – 5 817.3 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეორე პროექტის კრედიტი – 27 441.4 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” კრედიტი – 9.0 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” კრედიტი – 114.5 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” კრედიტი – 4 452.1 ათასი ლარი; “სოფლის განვითარების პროექტის” კრედიტი – 474.8 ათასი ლარი; ს.ს.ი.პ. „ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი „პირველადი ჯანდაცვის განვითარება” – 209.3 ათასი ლარი; „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი” – 28 952.5 ათასი ლარი.

ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის თანახმად, სახაზინო სამსახურში დონორების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსებისა და გაწეული საკასო ხარჯების შესახებ სახაზინო სამსახურში ივნისის თვეში ინფორმაცია წარმოდგენილი იქნა საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი სსიპ-ის მიერ 13 პროექტზე, საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი თანხების მოცულობამ შეადგინა 131 610.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა 2009 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთებისა და საანგარიშო პერიოდში ჩარიცხული თანხების ფარგლებში, შეადგინა 83 632.1 ათასი ლარი. 46 პროექტზე პროექტების განმახორციელებელ სსიპ-ებს არ წარმოუდგენიათ ინფორმაცია გამოყოფილი თანხებისა და საკასო ხარჯების შესახებ.

“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეძვარილი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №82 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2009 წლის იანვარ-ივნისში სახაზინო სამსახურის მიერ

ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლებში, ასევე ხარჯებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები სულ 2 064.5 ათასი ლარი.

წინა წლების გამოყენებული საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებული იქნა 9 124.7 ათასი ლარი.

ნაშთის ცვლილება

2009 წლის 1 იანვრისათვის ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთმა შეადგინა 753 615.5 ათასი ლარი, მ.შ: თავისუფალი ნაშთი – 708 014.9 ათასი ლარი, ინვესტიციური კრედიტები და გრანტები – 4 693.6 ათას ლარი (აღნიშნული თანხა დაზუსტდა მიმდინარე წელს უკან მობრუნებული 1.7 ათასი ლარით და შეადგინა 4 695.3 ათასი ლარი); აკრედიტივით უზრუნველყოფისათვის დაჯავშნული თანხები – 39 865.3 ათასი ლარი და ხარჯების მობრუნების შედეგად ჩარიცხული გაურკვეველი თანხები 1 040.0 ათასი ლარი, რომელიც მხარჯავი სუბიექტების მიერ დამატებითი ინფორმაციების წარმოდგენის და დაზუსტების შემდეგ, მიიმართება აღნიშნულებით.

2009 წლის 1 ივლისისათვის ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთმა შეადგინა 277 847.2 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 248 908.0 ათასი ლარი, ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში გასულ წლებში და მიმდინარე წელს ჩარიცხულმა თანხებმა საანგარიშო პერიოდში დაზუსტების შემდეგ შეადგინა – 7 693.9 ათასი ლარი, რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის რექტროაქტიული დაფინანსების თანხა (IDA) – 10 568.0 ათასი ლარი, აკრედიტივით უზრუნველყოფისათვის დაჯავშნული თანხები – 10 598.3 ათასი ლარი და ხარჯების მობრუნების შედეგად ჩარიცხული გაურკვეველი თანხები 79.0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში ფულადი სახსრების ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 475 768.7 ათასი ლარი.

2009 წლის 1 ივლისის მდგომარეობით სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის სავალუტო ანგარიშებზე საბიუჯეტო სახსრების სახით რიცხულმა თანხებმა შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 907.1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის

გადასახდელები

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერისა და 2009 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების თვეების და კვარტლების მიხედვით განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 9 იანვრის №6 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2009 წლის ექვსი თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 3 146 387.2 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 2 970 198.6 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები – 176 188.6 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 3 107 718.2 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 3 041 872.4 ათასი ლარი, (მათ შორის

საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 2 883 914.9 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 157 957.5 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 97.9%, ხოლო გეგმის 96.7%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2009 წლის იანვარ-ივნისის მთლიან ხარჯებში შეადგინა 94.8%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 5.2%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 29 დეკემბრის №1307 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენისა და ფულადი სახსრების მართვის წესის შესახებ” ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა მათ მიერ მოსალოდნელ ხარჯებზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად შედგენილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმების მიხედვით.

“საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: “შრომის ანაზღაურების” მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 465 213.0 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 463 284.4 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 458 444.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 98.5%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 420 924.5 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 412 415.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 390 393.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 94.7%-ს და ექვსი თვის გეგმის – 92.7%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 79 987.3 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 79 987.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 79 987.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის – 100%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 27 355.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (27 355.4 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 52 631.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (52 631.9 ათასი ლარი) 100%-ია.

“სუბსიდიების” მუხლით გასაწევი ხარჯების 2009 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 170 967.5 ათასი ლარი, იანვარ-ივნისში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 167 340.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 163 266.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.6%-ს და გეგმის 95.5%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2009 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 375 485.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 374 818.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (375 485.8 ათასი ლარი) და საგეგმო მაჩვენებლის (375 485.8 ათასი ლარი) 99.8%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2009 წლის იანვარ-ივნისში სხვა ღონის სახელმწიფო ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 366 980.8 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (367 628.1 ათასი ლარი) 100%.

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით 2009 წლის იანვარ-ივნისში მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 688 099.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (691 323.1 ათასი ლარი) 99.5%-ს და ექვსი თვის საგეგმო პარამეტრის (692 675.4 ათასი ლარი) 99.3%-ს შეადგენს. მათ შორის, სოციალური დახმარებების სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 683 792.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ია.

აღნიშნული მუხლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განესაზღვრა 549 632.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 546 816.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.9%-ია. მათ შორის: სახელმწიფო პენსიების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 399 866.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების – (400 358.2 ათასი ლარი) და გეგმის (400 358.2 ათასი ლარი) 99.9%-ია. ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობების ხარჯების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 33 612.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 32 237.3 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (33 612.0 ათასი ლარი) 95.9%-ია. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 130 330.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 129 368.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.3% და ვალდებულების (129 368.7 ათასი ლარი) 100%-ია.

„სხვა ხარჯების” მუხლით 2009 წლის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 285 432.5 ათასი ლარით, იანვარ-ივნისში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 276 312.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 272 434.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.6%-ს და გეგმის 95.4%-ს შეადგენს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „სხვა ხარჯების” მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 173 539.3 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 174 781.4 ათასი ლარის ვალდებულებები, ხოლო 2009 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 177 562.9 ათასი ლარი. მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა ვალდებულების 99.3% და საგეგმო მაჩვენებლის – 97.7%. მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 149 198.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (149 227.4 ათასი ლარი) 100% და საგეგმო მაჩვენებლის (149 390.7 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით” 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 366 151.9 ათასი ლარის ასივნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 357 619.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 331 789.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 92.8%-ს და გეგმის 90.6%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განესაზღვრა 121 553.4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 121 314.3 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (104 145.3 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 85.8% და საგეგმო მაჩვენებლის – 85.7%; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2009 წლის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 67 923.5 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 67 499.0 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (67 367.7 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.9% და საგეგმო მაჩვენებლის – 99.2%, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2009 წლის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 86 233.1 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 86

015.6 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (85 108.1 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 98.9% და საგემო მაჩვენებლის – 98.7%.

„ფინანსური აქტივების ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2009 წლის ექვსი თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 63 882.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 60 062.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 59 994.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.9%-ს და გეგმის – 93.9%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 225 667.2 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 223 886.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 222 644.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.4%-ს და გეგმის – 98.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 27 890.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (27 890.4 ათასი ლარი) 100%-ია.

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 194 753.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (195 995.7 ათასი ლარი) 99.4%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების კუთხით საგემო მაჩვენებელს აღემატებოდა: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროექტი „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობათა გაზრდა 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების პროცესში (UNDP)“ (კოდი 06 04 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 301.2 ათასი ლარი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს პროექტი „სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა (UNDP)“ (კოდი 08 02 01 მუხლი „სხვა ხარჯები“) – 3.7 ათასი ლარი; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროექტის „მონიტორინგი და შეფასება“ (კოდი 23 06 06 04, მუხლი „სუბსიდიები“) – 1.3 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „გზების რეაბილიტაციის პროექტის“ (კოდი 25 03 02 01 01, მუხლი „სუბსიდიები“) – 388.0 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს პროექტი: „მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – ი პროექტი“ (კოდი 26 13 01 მუხლი „სუბსიდიები“) – 42.1 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტის „რეზისტენტული ტუბერკულოზის მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება საქართველოში“ (კოდი 35 20 01 06, მუხლი „სუბსიდიები“) – 21.5 ათასი ლარი; მუხლი „არაფინანსური აქტივები“ – 124.2 ათასი ლარი); „სახალხო დამცველის ოფისის დახმარების პროექტი“ (UNDP)“ (კოდი 40 02 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 4.8 ათასი ლარი. ზემოთაღნიშნული პროექტების ანგარშეებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, რომელთა ათვისება ხორციელდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ პროექტზე გაწეული საკასო ხარჯი 44.0 ათასი ლარი, გაწეულია „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, ბიუჯეტის შემოსულობების სახით მისაღები გრანტებისა და კრედიტების ანგარიშში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2009 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 2 759 234.3 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 652 086.0 ათასი ლარი, რაც ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის (669 303.1 ათასი ლარი) 97.4%-ია. აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის და საგარეო ურთიერთობის ხარჯების დაფინანსების – 125 074.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (137 229.7 ათასი ლარი) 91.1% და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 19.2%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 80 079.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (80 257.3 ათასი ლარი) 99.8% და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 12.3%; საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა ღონეებს შორის შეადგინა 412 930.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (415 558.8 ათასი ლარი) 99.4%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში შეადგინა 6 231.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (6 129.2 ათასი ლარი) 101.7%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 409 054.8 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 402 849.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 14.6%-ი.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 450 316.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 432 413.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 15.7%; აღნიშნულ ხარჯებში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში შეადგინა 304 096.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (312 145.5 ათასი ლარი) 97.4%-ია; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 54 604.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (55 935.1 ათასი ლარი) 97.6%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (30 620.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (33 041.2 ათასი ლარი) 92.7%; სასჯელალსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 43 041.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (49 137.8 ათასი ლარი) 87.6%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 280 323.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 253 263.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 90.4%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (25 247.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (26 053.1 ათასი ლარი) 96.9%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (44 955.7 ათასი ლარი), გეგმის (47 031.6 ათასი ლარი) 95.6% შეადგინა; სათბობისა და ენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 15 956.2 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 14 285.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.5%-ია; მათ შორის: ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 2 052.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3 077.4 ათასი ლარი) 66.7%; ელექტროენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 12 878.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 12 233.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95%. ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად

გათვალისწინებული იყო 157 776.6 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა (140 156.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 88.8%; ეკონომიკის სხვა დარგების ხარჯების (11 593.3 ათასი ლარი) დაფინანსებამ შეადგინა საგეგმო მაჩვენებლის (14 850.8 ათასი ლარი) 78.1%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა ეკონომიკის სფეროში შეადგინა 13 268.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (14 506.8 ათასი ლარი) 91.5%-ია.

გარემოს დაცვის ხაზით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 12 944.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9 527.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 73.6%. გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 2 576.7 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 2 077.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 80.6%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დასაფინანსებლად გარემოს დაცვის სფეროში განსაზღვრული იყო 6 946.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (4 610.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 66.4%.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 151 702.5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 147 562.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 5.3%-ი; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 17 865.5 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (17 738.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 99.3%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (45 282.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (46 295.8 ათასი ლარი) 97.8%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 19 951.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (22 453.6 ათასი ლარი) 88.9%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 64 064.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (64 531.1 ათასი ლარი) 99.3%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 60 552.5 ათასი ლარით, რაც 2009 წლის ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის – 64 637.6 ათასი ლარის 93.7%-ს შეადგენს. დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (18 827.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (19 360.8 ათასი ლარი) 97.2%; კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (15 562.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (18 044.2 ათასი ლარი) 86.2%; ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 13 588.7 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (13 478.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 99.2%; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 10 472.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (11 318.3 ათასი ლარი) 92.5%-ია.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 206 314.2 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 198 411.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.2% და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 7.2%-ი; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი: ზოგადი განათლების დაფინანსების – 149 973.4 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (152 079.9 ათასი ლარი) 98.6%; უმაღლესი განათლების დაფინანსების – 24 878.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (26 957.9 ათასი ლარი) 92.3%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები განათლების სფეროში დაფინანსდა 9 311.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (10 542.8 ათასი ლარი) 88.3%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 610 827.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 601 203.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.4%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 21.8%-ი. ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 3 714.7 ათასი ლარი, ანუ საგეგმო

მაჩვენებლის (3 844.7 ათასი ლარი) 96.6%; ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 430 936.5 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 428 622.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.5%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 95 602.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (97 654.6 ათასი ლარი) 97.9%-ია; სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას დაფინანსდა 44 197.3 ათასი ლარით, რომელმაც შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის (46 348.8 ათასი ლარი) 95.4%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობისათვის გაწეულმა ხარჯებმა სოციალური დაცვის სფეროში შეადგინა 22 714.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 138.1 ათასი ლარი) 90.4%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის 2009 წლის ექვსი თვის საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 51 154.2 ათასი ლარით. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 103 შემთხვევაში შეადგინა 51 154.2 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 49 999.6 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2009 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შეადგინა 1 154.7 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის 2009 წლის ექვსი თვის საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 42 637.2 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის განკარგულებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 49 შემთხვევაში შეადგინა 42 637.2 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 41 258.9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2009 წლის პირველი ივლისისათვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 1 378.3 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად გამოყოფილი იქნა 189 350.7 ათასი ლარის ასიგნება („გრანტების“ მუხლით – 9 574.2 ათასი ლარი, „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 179 776.5 ათასი ლარი). აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი

ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 5 081.0 ათასი ლარის ასიგნება; „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა – 6 985.0 ათასი ლარი; აქედან: იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 856.6 ათასი ლარი; სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდს – 4 157.3 ათასი ლარი; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად „გრანტის“ მუხლით – 307.9 ათასი ლარი, ხოლო აუთვისებელი დარჩა – 1 663.2 ათასი ლარი. „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წინა პერიოდში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანების დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 176 096.3 ათასი ლარი. აქედან: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს გამოეყო 166 830.0 ათასი ლარი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს მიზნობრივი ტრანსფერის სახით, ვალდებულებების დასაფარავად საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად „გრანტის“ მუხლით გამოეყო – 9 266.3 ათასი ლარი; საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარავად ორგანიზაციებმა ვალდებულებების მუხლით მიმართეს 1 188.4 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების მაჩვენებლები შემდეგია: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 4 905.7 ათასი ლარი (გეგმა – 4 906.0 ათასი ლარი); იუსტიციის სამინისტროს დასაფინანსებლად მიიმართა – 891.5 ათასი ლარი (გეგმა – 894.6 ათასი ლარი); სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დასაფინანსებლად მიიმართა – 108.7 ათასი ლარი (გეგმა – 197.4 ათასი ლარი); საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის დასაფინანსებლად – 59.9 ათასი ლარი (გეგმა – 59.9 ათასი ლარი); განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეცნიერო კვლევების პროგრამების დასაფინანსებლად მიიმართა – 13.7 ათასი ლარი (გეგმა – 13.7 ათასი ლარი); განათლების რესურს-ცენტრების დასაფინანსებლად მიიმართა – 0.6 ათასი ლარი (გეგმა – 0.6 ათასი ლარი); საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოეყო 2.2 ათასი ლარი (გეგმა – 2.2 ათასი ლარი); სახელოვნებო და სასპორტო განათლების ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა – 49.0 ათასი ლარი (გეგმა – 49.0 ათასი ლარი); ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილთა და დევნილთა შენახვის ხარჯების დასაფინანსებლად ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე გამოეყო – 36.4 ათასი ლარი (გეგმა – 36.4 ათასი ლარი); საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ. – სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის ადმინისტრაციის დასაფინანსებლად მიიმართა 18.4 ათასი ლარი (გეგმა – 18.4 ათასი ლარი); შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა 1.3 ათასი ლარი (გეგმა – 1.3 ათასი ლარი); ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს დასაფინანსებლად 70.0 ათასი ლარი (გეგმა – 70.0 ათასი ლარი); გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აპარატის დასაფინანსებლად – 6.7 ათასი ლარი (გეგმა – 6.7 ათასი ლარი); ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ დასაფინანსებლად მიიმართა 1.3 ათასი ლარი (გეგმა – 8.4 ათასი ლარი); ცენტრალური

საარჩევნო კომისიის აპარატის დასაფინანსებლად – 6.8 ათასი ლარი (გეგმა – 6.8 ათასი ლარი); პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 472.9 ათასი ლარი (გეგმა – 472.9 ათასი ლარი); საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს დასაფინანსებლად – 20.1 ათასი ლარი (გეგმა – 20.1 ათასი ლარი); საერთო სასამართლოების დასაფინანსებლად მიიმართა – 2.6 ათასი ლარი (გეგმა – 2.6 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროში: სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დასაფინანსებლად მიიმართა – 11.3 ათასი ლარი (გეგმა – 14.3 ათასი ლარი); ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისო პროექტების დასაფინანსებლად – 137.0 ათასი ლარი (გეგმა – 137.0 ათასი ლარი); ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანების დასაფარავად მიიმართა 165 736.7 ათასი ლარი (გეგმა – 166 830.0 ათასი ლარი); ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს „გრანტის” მუხლით – 9 574.2 ათასი ლარი (გეგმა – 9 574.2 ათასი ლარი); შინაგან საქმეთა სამინისტროს ს.ს.ი.პ. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დასაფინანსებლად მიიმართა – 9.2 ათასი ლარი (გეგმა – 9.2 ათასი ლარი); ენერგეტიკის სამინისტროს ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციური აღმშენებლობის პროექტის დასაფინანსებლად მიიმართა – 7.3 ათასი ლარი (გეგმა – 7.3 ათასი ლარი); ს.ს.ი.პ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის” დასაფინანსებლად მიიმართა – 17.0 ათასი ლარი (გეგმა – 61.9 ათასი ლარი).

“წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის” ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვაზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 4 157.3 ათასი ლარი (გეგმა – 4 157.3 ათასი ლარი), რაც გატარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანიზაციულ კოდეზე.

2009 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.